

ანა ქვლივიძე

დაბადების თარიღი: 24/01/2006
სკოლა: კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა
პროგრამა: ფსიქოლოგია
კურსი: 3
CU ელ. ფოსტა: A_KVLIVIDZE@CU.EDU.GE

ჩემს შესახებ:

უმაღლესი განათლების მიღება პრივილეგია და უდიდესი შესაძლებლობაა, რისთვისაც მადლიერები უნდა ვიყოთ და ყველა არსებული რესურსი მაქსიმალურად გამოვიყენოთ. სკოლის დამთავრების შემდეგ, ოქროს მედლის მოპოვებასთან ერთად, დიდი მიზნები დავისახე და დღემდე მათ მისაღწევად ყოველდღიურად ვმუშაობ. დღეს, როგორც ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მესამე კურსის სტუდენტი, ვცდილობ, უნივერსიტეტში მიღებული გამოცდილება მხოლოდ აკადემიური ცოდნით არ შემოვფარგლო.

ბოლო ერთი წლის განმავლობაში მომსახურების სფეროში მუშაობამ მომცა სხვადასხვა ადამიანებთან ურთიერთობის შესაძლებლობა, რამაც დამანახა რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანების მოსმენა, დახმარება, ემპათია და ადამიანების საჭიროებების გააზრება. ვფიქრობ, სწორედ ეს უნარები არის მნიშვნელოვანი როგორც ყოველდღიურ კომუნიკაციაში, ისე უნივერსიტეტის ელჩის როლში.

საკუთარ თავს ადვილად, როგორც პასუხისმგებლიან, პოზიტიურ და კომუნიკაბელურ ადამიანს, რომლისთვისაც პრობლემები უფრო გამოწვევებია, ვიდრე დაბრკოლებები. თავისუფალ დროს ვუკრავ სხვადასხვა მუსიკალურ ინსტრუმენტზე და ვმღერი. ჩემი აზრით, მუსიკა, ისევე როგორც ფსიქოლოგია, ადამიანების ერთმანეთთან დაკავშირების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. განსაკუთრებულ სიამოვნებას მანიჭებს ახალი ადამიანების გაცნობა, მათი კულტურისა და ენის შესწავლა. ვფიქრობ, სწორედ მრავალფეროვან ადამიანებთან ურთიერთობა გვაძლევს შესაძლებლობას, უფრო ფართო პერსპექტივით დავინახოთ სამყარო და მუდმივად განვვითარდეთ. ჩემთვის განვითარება ნიშნავს, არასდროს ვთქვა უარი ახალ შესაძლებლობებზე.